სამსახურის 2015 წლის 09 მარტის შუალედური გადაწყვეტილება №1766897-ის შესაბამისად მოვახდინეთ შემდეგი: ავტვირთულია თვალსაჩინო ადგილას განთავსებული 0,60X0,90 მეტრი გაბარიტების საინფორმაციო დაფის ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილებიდან.

აქვე გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნულ ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის ხეივნის მხარეს ფუნქციონირებს რესტორანი (რესტორანი "უშბა"). საქმიანობის გაფართოების მიზნით საკადასტრო გეგმაზე მონიშნულ არეალში დაგეგმილია მრავალფუნქციური შენობის მოწყობა. იმისათვის, რომ არ შეიზღუდოს რესტორნის გამართული ფუნქციონირება, საპროექტო შენობის სიგანე (ქუჩის მხრეს საზღვრიდან მისი განვითარება ტერიტორიის სიღრმეში) უნდა იყოს არაუმეტეს 9,00 მეტრისა (აივნებით/პერგოლით/საჩრდილობლით/ან სხვა არქიტექტურული ელემენტით – დაახლოებით 10,50 მ). არქიტექტურის სამსახურის პოზიციით სამშენებლო განვითარება შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების ხაზის დაცვით, რაც შეადგენს 4,60 მეტრს სიგანეში. აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით საპროექტო შენობის მოწყობა მესაკუთრისათვის ხდება არამიზანშეწონილი, ვინაიდან შენობის სიგანე ამ შემთხვევაში შეადგენს 4,40 მეტრს (რა სივრცეშიც ვერ ხერხდება სრულფასოვანი/ვარგისი სავაჭრო ან სხვა სახის კომერციული დარბაზის ან ფართების მოწყობა). აქვე ავღნიშნავთ, რომ ტერიტორიის ჩვენ მიერ მონიშნულ არეალში უკვე არსებობს ნაგებობები (14/1, 15/1, 16/1, 17/1) და საპროექტო წინადადება ფაქტიურად ითვალისწინებს უკვე არსებული ნაგებობების განვითარება-გაფართოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენამდე ხელახლა განიხილოთ განაშენიანების რეგულირების ხაზის საკითხი და დასაშვების ფარგლებში მაქსიმალურად შეამციროთ მისი მოქმედების ზონა (სასურველია 2,00 მეტრამდე)

საჭიროების შემთხვევაში ვართ მზად (გვაქვს სურვილი) შევხვდეთ სამსახურის შესაბამის სპეციალისტებს და ჩავერთოთ აღნიშნული საქმის განხილვაში საკითხის უკეთ გარკვევის და ჩვენი პოზიციის მეტად წარმოდგენის მიზნით